ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №14

ქ. ახმეტა 30 ოქტომბერი, 2019 წელი

თავმჯდომარეობდა: თ.ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: რ.ბაღაკაშვილი, ბ.ჭიჭიკლიშვილი, ა.შათირიშვილი, დ.იმერლიშვილი გ.ხადიშვილი, ლ.ითიურიძე შ.ტერტერაშვილი, ნ.ალავიძე თ.ბოდაველი,

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

სხდომის თავმჯდომარე თ.ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

2. ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე" ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დუისში მდებარე 1902კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების, სოფ კასრისწყალში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობისა და მასზე დამაგრებული **1501** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის საპრივატიზებო ნუსხისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქ. N50-ში მდებარე შენობის პირველ და მეორე სართულზე არსებული საიჯარო ფართების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

6. 2019 წლის 21 ოქტომბერს გამოცხადებული, ელექტრონული აუქციონის წესით ვერ გაიჯარებული, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ.კასრისწყალში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე 30%-იანი ფასდაკლებით გაიჯარების, საწყისი საიჯარო ქირის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ახმეტაში აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 300კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის **2019** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2018** წლის **25** დეკემბრის **N66** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს დამსწრე წევრებს გააცნო ინფორმაცია ახმეტის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების შესახებ.

წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 1202,8 ათ. ლარით. აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები (ქონების გადასახადი) იზრდება 25,0 ათ. ლარით, ხოლო მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი ტრანსფერები იზრდება 1177,8 ათ. ლარით (განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს).

შ.ტერტერაშვილმა დასვა კითხვები, რომელზეც პასუხი გასცა მომხსენებელმა. სად კეთდება მზის პანელები, ვის ხმარდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების თანხა? მომხსენებელმა უპასუხა, რომ მზის პანელები დამონტაჟდება შემდეგ სოფლებში: ბუღაანში, ქვემო ჩოფჩაურში, ილტოს ხეობაში, ჯაბურში, ხოლო ტრანსპორტირების თანხა ხმარდება სკოლის მოსწავლეების გადაყვანას ახშნის ველებიდან, ქორეთიდან, ხალაწნიდან,- მიმდებარე სოფლების სკოლებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

მომხრე - 8;
წინააღმდეგი - 2;

<u>მოისმინეს:</u> **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს წევრებს წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

მომხრე - 9;
წინააღმდეგი - 1;

<u>მოისმინეს</u>: **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დუისში მდებარე 1902კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დუისში მდებარე 1902კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. იუსტიციის სამინისტრო ითხოვს მიწის ნაკვეთის გადაცემას.

ბიუროს წევრებმა პროექტთან დაკავშირებით შემოიტანეს შენიშვნა: კანონის თანახმად, საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს საკუთრებაში გადასცეს მიწის ნაკვეთი და არა თანხმობა მისცეს მის გადაცემაზე და მომხსენებელს მიმართეს განკარგულების პროექტში ჩასწორდეს ტექსტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების, სოფ კასრისწყალში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობისა და მასზე დამაგრებული 1501 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის საპრივატიზებო ნუსხისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს:

საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენს-10577 ლარს, „ბე"-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა განისაზღვრება საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30%- ით - 3173 (სამიათას ას სამოცდაცამეტი) ლარის ოდენობით, აუქციონის ბიჯის ოდენობა საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10% ით -1058 ლარის ოდენობით.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე არჩილ შათირიშვილმა საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ განვითარების მიზნით უმჯობესია ჩავდოთ პირობა, რაზეც მომხსენებელმა უპასუხა, რომ ცხადდება უპირობო აუქციონი და ვინც მეტს გადაიხდის, ის იყიდის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქ. N50-ში მდებარე შენობის პირველ და მეორე სართულზე არსებული საიჯარო ფართების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი ბიუროს წევრებს:

ა) შენობის პირველ სართულზე მდებარე 11.84კვ.მ ფართის

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით- **149.0** (ას ორმოცდაცხრა) ლარის ოდენობით.
- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

ბ) შენობის მეორე სართულზე მდებარე 17.4კვ.მ ფართის

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით- **219.0** (ორას ცხრამეტი) ლარის ოდენობით.
- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

გ) შენობის მეორე სართულზე მდებარე 17.0კვ.მ ფართის

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით- **215.0** (ორას ხუთმეტი) ლარის ოდენობით.
- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

დ) შენობის მეორე სართულზე მდებარე 14.6კვ.მ ფართის

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით- **184.0** (ასოთხმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> 2019 წლის 21 ოქტომბერს გამოცხადებული, ელექტრონული აუქციონის წესით ვერ გაიჯარებული, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ.კასრისწყალში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე 30%-იანი ფასდაკლებით გაიჯარების, საწყისი საიჯარო ქირის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა განმარტა საკითხი. აღნიშნა, რომ აუქციონზე ვერ გასვლის გამო, ხელახლა ტარდება ელექტრონული აუქციონი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

მომხრე - 8;
წინააღმდეგი - 2;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ახმეტაში აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 300კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: ძეგლების მოპირდაპირე მხარეს განმცხადებელს სურს ჩადგას მსუბუქი კონსტრუქციის პავილიონი და გახსნას სწრაფი კვების ობიექტი.

ბიუროს წევრებმა აღნიშნეს, რომ უმჯობესია ადგილზე იქნას საკითხი შესწავლილი, არის თუ არა საპარკინგე ადგილი, რამდენად უსაფრთხოს წარმოადგენს იქ პავილიონის ჩადგმა, ან რა იქნება გაყიდვაში. მოიკითხეს ესკიზი, რომელიც არ იყო წარმოდგენილი.
ბიურომ იმსჯელა და გადაწყვიტა: საკითხი დამუშავდეს და განსახილველად შემოვიდეს შემდეგ სხდომაზე.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს ბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12^{50} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თ.ყეინიშვილი**